PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯ „იბერიას“ მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრი:

მუხრან გაფრინდაშვილი

თბილისი 2021 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი ,,იბერია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯ ,,იბერიის" მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 თებერვლის 245695 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 29 მარტს ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამის განხილვისთვის ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, მატერიალური რესურსების კოორდინატორს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს. ექსპერტების მიერ განხორციელდა დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართებაში კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება. განხორციელდა ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტი, რომელიც განხორციელდა კოლეჯ „იბერიაში“ წარმოადგენდა მონიტორინგს. ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა ძირითადად საქმის წარმოების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მხრიდან მონიტორინგის ვიზიტის დროს გასწორდა ხარვეზების ნაწილი. მაგ. ექსპერტთა მიერ დადგენილი ხარვეზი - „**სილაბუსებში გაწერილ შეფასების წესსა და კოლეჯის „შინაგანაწესში“ გაწერილ შეფასების წესს შორის აღინიშნა შეუსაბამობა“, აღმოიფხვრა ექსპერტების ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2018 წლის 01 მაისის ბრძანება №108-ის საფუძველზე. ვიზიტის პერიოდში შეფასების წესი ჩასწორდა შინაგანაწესის შესაბამისად.** ვიზიტის პროცესში დაწესებულების მიერ გასწორებული დოკუმენტაცია ექსპერტთა მიერ დანართების სახით იქნა წარდგენილი საბჭოზე.

რეკომენდაციები, რომელიც გაიწერა მონიტორინგის ვიზიტის წარმოებისას, **დაწესებულების მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული.** გასწორდა ჩანაწერები სტრატეგიულ გეგმაში, კატალოგში. ბიბლიოთეკის კომპიუტერებში ჩაწერილ იქნა ელექტრონული სახელმძღვანელოების ვერსიები, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი დოკუმენტების აღრიცხვა საქმისწარმოების წესთან. სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებაში დაემატა ჩანაწერი შინაგანაწესის გაცნობასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტუდენტის/სტუდენტის მშობლის/მეურვის ხელმოწერით. კოლეჯმა შეიმუშავა ახალი მისია. დაიხვეწა შეფასების ინსტრუმენტები. მიმდინარე ვიზიტისას აღნიშნული საკითხები ექსპერტთა მიერ შემოწმებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1. (1)

- დირექტორის 2019 წლის 18 იანვრის N15 ბრძანებაში „სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ განხორციელდეს ცვლილება და დოკუმენტის დასახელებიდან და 1.1 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საზოგადოებრივი“.

2.1.1. (3)

- დაწესებულებამ სასურველია დააზუსტოს ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 1.9 პუნქტი და ნაცვლად ჩანაწერისა ,,20 პროფესიულ სტუდენტზე ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი“ შეცვალოს ჩანაწერით, რომლის ფარგლებში ვალდებულებას აიღებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2.1.1.(8)

- მოდულების სრულად ადაპტაციის მიზნით 3.4. პუნქტში ჩანაწერი ,,რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის“ ჯობს ჩანაცვლდეს ჩანაწერით ,,მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის“ და ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებად მითითებული იქნას კონკრეტულად სსიპ კოლეჯი იბერია.

2.2.1.(1)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ C გარემოში ცალკე სივრცე იქნას გამოყოფილი სამღებრო სამუშაოებისათვის.

2.2.1. (7)

- ბიუჯეტის დოკუმენტში, შემოსავლებისა და ხარჯვით ნაწილში განსხვავებებია, სასურველია დოკუმენტში გაიწეროს რა ხარჯს წარმოადგენს სხვაობის თანხა და ამავე დროს, რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებული უნდა იქნას ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის მიხედვით.

2.3.1.(1)

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია ორ დოკუმენტში - „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებსა“ და „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში“, გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი დოკუმენტის სახით.

2.4.1. (6)

- სასურველია დირექტორის N19 ბრძანებით (24.02.2021) დამტკიცებულ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში შეიცვალოს ტერმინი „მოსწავლე“ ტერმინით ,,პროფესიული სტუდენტი,“ ხოლო ტერმინი „მასწავლებელი“ - ტერმინით ,,პროფესიული განათლების მასწავლებელი“.

2.4.2.(3)

- დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოებისა და უწყისების გაციფრულება.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ დირექტორის 2021 წლის 5 ბრძანება N30
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 – 20 პროფესიული სტუდენტი, მოდულური პროგრამა
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი ,,იბერიას" მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხის მხატვრული დამუშავება" შემუშავებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიის" შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 20 ივლისს სსიპ - კოლეჯის „იბერია"დირექტორის ბრძანებით N126-ით. მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

განხორციელების დასაბუთება ითვალისწინებს რეგიონის განვითარების გეგმის მოთხოვნებსა და კოლეჯის რესურსების საკმარისობას. სსიპ კოლეჯი ,,იბერია" წარმოადგენს მრავალპროფილურ სასწავლო დაწესებულებას, მისიის მიხედვით ,,კოლეჯი, საქართველოს დინამიური შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ამზადებს მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებს და ქმნის და ავრცელებს ახალ ცოდნას. სსიპ კოლეჯი ,,იბერია" აცნობიერებს რა თავის სოციალურ პასუხიმგებლობას, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას." საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხის მხატვრული დამუშავება" შესაბამისობაშია მისიასთან.

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დირექტორის 2019 წლის 18 იანვრის N15 ბრძანებაში „სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია" სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია" უნდა განხორციელდეს ცვლილება და დოკუმენტის დასახელებიდან და 1.1 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საზოგადოებრივი".

2. სსიპ კოლეჯი ,,იბერიას" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ხის მხატვრული დამუშავება" დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლებაა, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით და დაწესებულებაში დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვა ხდება პროფესიის მოსინჯვის საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის მიერ 2020 წლის 28 იანვრის N19 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: პროგრამის სპეციფიკა და კოლეჯის რესურსები მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, ასევე, აღნიშნულია რომ ისინი შეიძლება განთავსებულ იქნას ერთ სივრცეში სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის ან სასწავლო გარემოს ფართის მიხედვით, ასევე მათი გამტარობის გაანგარიშების წესები, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების/ხელშეკრულებების მიხედვით შეთანხმებული ადგილების რაოდენობის მიხედვით, სხვადასხვა წყაროებიდან შეკრებილი ინფორმაცია პროგრამით განსაზღვრული მოსამზადებელი სპეციალისტების მოთხოვნადობა და სხვ.;

დაწესებულების წარმნომადგენლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის პროცესში ეყრდნობიან მათ მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **დაწესებულებამ სასურველია დააზუსტოს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 1.9 პუნქტი და ნაცვლად ჩანაწერისა „20 პროფესიულ სტუდენტზე ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი“ შეცვალოს ჩანაწერით, რომლის ფარგლებში ვალდებულებას აიღებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.**

საერთო ჯამში, ინდიკატორის 2.1.1.3. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 20 პროფესიული სტუდენტი შეესაბამება კოლეჯის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და კოლეჯის რესურსებს.

4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება” განხორციელებისთვის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ხის მხატვრული დამუშავება“ აქვს 2 არჩევითი მოდული: ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება 7 კრედიტის მოცულობით და იატაკის მოწყობა 4 კრედიტის მოცულობით, ჯამში 11 კრედიტი (89 კრედიტიანი პროგრამიდან დაახლოებით 12 % მოცულობით), რომლებიც ლოგიკურ კავშირშია როგორც მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ისე, პროფესიული სტუდენტის შესაძლო მომავალ საქმიანობასთანაც;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 5 მარტის N30 ბრძანებით, რომლის უფლებამოსილება დასტურდება დოკუმენტის ,,სსიპ - კოლეჯის „იბერია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიის“ მესამე მუხლის ,,საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება“ 3.2-ის დ) პუნქტის შესაბამისად.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,ხის მხატვრული დამუშავება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. სსიპ კოლეჯი „იბერიას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხის მხატვრული დამუშავება'' შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამა მოიცავს ყველა ზოგად და პროფესიულ მოდულებს, აგრეთვე 2 არჩევით მოდულს.

მოდულების სრულად ადაპტაციის მიზნით 3.4. პუნქტში ჩანაწერი ,,რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის“ ჯობს ჩანაცვლდეს ჩანაწერით ,,მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის“ და ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებად მითითებული იქნას კონკრეტულად სსიპ კოლეჯი იბერია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია http://iberia.edu.ge/
- სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებული ,,სსიპ - კოლეჯის „იბერიას“ დირექტორის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანებით N91;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხის მხატვრული დამუშავება“ დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ დირექტორის 2021 წლის 5 ბრძანებით N30; ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“, დამტკიცებული 2020 წლის 20 ივლისს სსიპ - კოლეჯის „იბერია“დირექტორის ბრძანებით N126;
- პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანებით N19 ;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. კერძოდ, დაწესებულებას მფლობელობაში გააჩნია ძირითადი დაზგა-დანადგარები: საფრეზი საფრეზი ჩარხი, საბურღი ჩარხი, ხის სახარატო ჩარხი, ლენტსახერხი ჩარხი, მტვრისა და ნახერხის გამწოვი ყველა დანადგარისათვის, ფუგანი, საპრესი დანადგარი, ცირკული, ხერხი. ასევე კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ხელის ელექტრო ინსტრუმენტები და ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო საჭრელი იარაღები და სხვა სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისთვის საჭირო აღჭურვილობა.

   ვიზუალური დათვალიერებისას ნათლად წარმოჩნდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

   დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია მასზედ, რომ **მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ C გარემოში ცალკე სივრცე იქნას გამოყოფილი სამღებრო სამუშაოებისათვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A და B გარემოები, რომელიც გათვალისწინებულია 15-15 პროფესიულ სტუდენტზე.იგი აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები).

ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ საწარმოსთან ,,მადერა ჯორჯიასთან“ დადებული მემორანდუმები, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. მემორანდუმებში გაწერილია, რომ პრაქტიკული კომპონენტის და რამოდენიმე სავალდებულო პროფესიული მოდულის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცება განხორციელდება კომპანიებში. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას დააზუსტა, რომ კოლეჯი ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ფარგლებში პრაქტიკულ კომპონენტს განახორციელებს თავის ტერიტორიაზე არსებულ C გარემოში. "გაცნობითი პრაქტიკის" მოდულის განსახორციელებლად თითოეულ კომპანიას შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 10 პროფესიული სტუდენტი.

„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია - 20 სტუდენტი. თითო ჯგუფის დაკომპლექტება გათვალისწინებულია 10-10 პროფესიული სტუდენტით.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხელმძღვანელებთან ინტერვიუსას განხილული იქნა ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამის ფარგლებში შესასყიდი ინვენტარის საკითხი, ვინაიდან დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით სრულად ხდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. დაწესებულების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ გაუმჯობესების გეგმით წარმოდგენილი განსახილველი პროგრამისთვის შესასყიდი ინვენტარი ემსახურება პროგრამის განვითარებასა და დარგის თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ სწავლებას, რისთვისაც ისინი გეგმავენ შეიძინონ მულტისაბურღი ჩარხი, პროფილების შემკვრელი საფრეზი ჩარხი, ნაწიბურების მისაკრავი ჩარხი, რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხი (CNC router) ბურღების ნაკრებით.

საერთო ჯამში, ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება" დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 3 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარების აქტივობა. ასევე, ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ,,ხის მხატვრული დამუშავების" პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა უკვე გაიარეს მოდულურ პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების ტრენინგები და დაგეგმილია მომავალშიც მათი განვითარების ღონისძიებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 05 მარტის N30 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მე-2 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. მას ევალება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა. აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.
5. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. 2019 წლის 25 სექტემბრის N243 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულება“ და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. აღნიშნული წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგის ლინკი, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ მისთვის სასურველი რესურსი http://www.library.iberia.edu.ge/home/index.php. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პანდემიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
პირობებში დისტანციური სწავლებისას დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით განხორციელდა მთელი რიგი ლიტერატურის გაციფრულება და პროფესიული სტუდენტებისთვის გადაგზავნა.

6. „სსიპ „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დირექტორის ბრძანება N24, 2021 წლის 25 თებერვალი) მე-5 თავში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. სსიპ კოლეჯს „იბერია“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და ლიფტი. კოლეჯში საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის კოლეჯში შემუშავებული იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. სსსმ სტუდენტისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაფუძნებული იქნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულზე და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, დაზუსტდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები. ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
7. საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხის მხატვრული დამუშავება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები და ოდენობა: შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 225220 ლარი და ხარჯების ნაწილში კი 183959 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მდგრადობას დაფინანსების მიხედვით საფრთხე არ ემუქრება. **თუმცა, ზემოთაღწერილი სხვაობის დანიშნულების შესახებ შემოსავლებსა და ხარჯვით ნაწილში სასურველია გაიწეროს დოკუმენტში და ამავე დროს, რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებული უნდა იქნას ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის მიხედვით .**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხის მხატვრული დამუშავება“/მოდულები;
- დირექტორის 2021 წლის 05 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N19 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
- დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N243 ბრძანება „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულება“.
- დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N243 ბრძანება „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://iberia.edu.ge/
- დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს N299 ბრძანება (დანართი 1) „შინაგანაწესი“.
- დირექტორის 2021 წლის 05 მარტის N30 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“.
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

➢ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N290 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, ხარისხის სამსახურის მიერ განსახორციელებელ აქტივობებსა და საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის რელევანტურ მექანიზმებს.

   კოლეჯში შემუშავებულია „სსიპ კოლეჯ „იბერიის“ სტუდენტთა და კურსდამთვრებუთა კვლევის მეთოდოლოგია (დირექტორის ბრძანება №135, 16.07.2020 წ.). კვლევის ამოცანებს წარმოადგენს : საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შეფასება, კურსდამთავრებულთა დაუსაქმებლობის შემთხვევაში მიზეზების იდენტიფიცირება და სხვ. კოლეჯის ხარისხის სამსახური ახორციელებს მატერიალური რესურსის ხარისხის (6 თვეში ერთხელ), საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებას გამოკითხვის საფუძველზე. ისინი აწარმოებენს სტუდენტთა/მსმენელთა გამოკითხვებს, პერსონალის გამოკითხვებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და კურსდამთვრებულთა გამოკითხვებს, ესწრებიან მეცადინეობებს, ახორციელებენ ვებ გვერდის მონიტორინგს, კონტროლს პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესზე. კოლეჯის ვებ გვერდზე ატვირთულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიურებისას დაზუსტდა აღნიშნული საკითხები. მათ სურთ, რომ კოლეჯში დანერგონ Google Drive სისტემის გამოყენებით გამოკითხვის მეთოდი, რაც გააადვილებს კითხვარების ანალიზს.

ხარისხის უზრუნველყოფისათვის კოლეჯის ხარისხის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის მიდგომას. „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში“ მე-2 მუხლში (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა) აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შესაბამისად. „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პირობები (მუხლი 3); გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები; მოცემულია ინფორმაცია ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ; მოცემული დოკუმენტის მე-4 და მე-5 მუხლებში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისა და შეფასება-განვითარების მექანიზმები. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებულ მხარეებთან. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვის შედეგების ანალიზი. გაუმჯობესების გეგმის შემუშავება ხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ და წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. მე-6 და მე-7 მუხლში გაწერილია ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ და არსებული პროგრამების გაუქმების შესახებ. ამავე დოკუმენტის მომდევნო მუხლებში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების წესი და პროფესიული დიპლომის გაცემის პირობები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვ.

თუმცა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია ორ დოკუმენტში - „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებსა“ და „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში“, გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი დოკუმენტის სახით.**

2. სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ დირექტორის 2021 წლის 05 მარტის N30 ბრძანების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“ მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. დოკუმენტის მე-6 და მე-7 მუხლში გაწერილია ინფორმაცია პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ და არსებული პროგრამების გაუქმების შესახებ. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე. დირექტორის N290 ბრძანებით (2020 წლის 25 დეკემბერი) დამტკიცებული დოკუმენტის „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პუნქტში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის სამსახურის მიერ განსახორციელებელი აქტივობები და საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის რელევანტური მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის შემოწმების თანამიმდევრობის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შესამოწმებელი ობიექტის და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრასა და შემუშავებას. პროგრამების გამხორციელების შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

აქედან გამომდინარე დგინდება, რომ დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ დირექტორის 2021 წლის 05 მარტის N30 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“.
- სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N290 ბრძანება „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“
- სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის N135 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ „იბერიის“ სტუდენტთა და კურსდამთვრებუთა კვლევის მეთოდოლოგია ;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ ახალია, წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იგი განხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე „ხის მხატვრული დამუშავება“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხელმძღვანელებთან ინტერვიუსას დაწესებულების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ გაუმჯობესების გეგმით წარმოდგენილი განსახილველი პროგრამისთვის შესასყიდი ინვენტარი ემსახურება პროგრამის განვითარებასა და დარგის თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ სწავლებას, რისთვისაც ისინი გეგმავენ შეიძინონ მულტისაბურღი ჩარხი, პროფილების შემკვრელი საფრეზი ჩარხი, ნაწიბურების მისაკრავი ჩარხი, რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხი (CNC router) ბურღების ნაკრებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს მასწავლებლების გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში.

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით ,,ხის მხატვრული დამუშავება“, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა, მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები, ასევე, ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების დროს აღნიშნული დაადასტურეს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ საწარმოსთან ,,მადერა ჯორჯიასთან“, რაც დასტურდება შესაბამისი მოთხოვნების დაცვით გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;

6. სსიპ კოლეჯში „იბერია“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების წესები გამოკრულია C გარემოში და პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს გარემო და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს. **ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია დირექტორის N19 ბრძანებით (24.02.2021) დამტკიცებულ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში შეიცვალოს ტერმინი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

„მოსწავლე“ ტერმინით „პროფესიული სტუდენტი,“ ხოლო ტერმინი „მასწავლებელი“ - ტერმინით „პროფესიული განათლების მასწავლებელი“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“, სასწავლო გეგმა,მოდულები;
- დირექტორის 2021 წლის 05 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის N19 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია როგორც სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“, რომელშიც გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაკავშირებით განსაზღვრულია თუ პროცედურები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობისა და რაოდენობის შესახებ.

საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია როგორც სსიპ კოლეჯის ,,იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის მართვის მენეჯერთან დასკვნის სახით. ვერიფიკაციის პროცესი კოლეჯში ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად ვერ განხორციელდა დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ 2021 წლის დირექტორის 25 თებერვალის N24 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 22 მუხლის საფუძველზე. რიგი მაღალი ხარისხით შესრულებული დოკუმენტები დასაშვებია გამოყენებული იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის, შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ. გამომდინარე იქიდან, რომ **დაწესებულება პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოებსა და უწყისებს ინახავს ფიზიკური სახით, მიეცათ რეკომენდაცია მათი გაციფრულების შესახებ.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“, სასწავლო გეგმა,მოდულები;
- დირექტორის 2021 წლის 05 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

27/05.21
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------